საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საministro

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4335/01
29/04/2021

4335-01-2-202104291824

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიას

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ის მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილი იქნა მდ. ბახვისწყალზე 12 მგვტ დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ბახვი 1 ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში, რომლის შესახებ ინფორმაცია სამინისტროს მიერ გამოგზავნილი იქნა ჩოხატაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების მერიებში (წერილი N 12996/01).

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 16 აპრილს შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-მა ზემოაღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სამინისტროში წარმოადგინა დამატებითი ინფორმაცია, რომელიც განთავსებულია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ლინკი: https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/31750

დამატებითი ინფორმაციის სახით წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარუდგინოთ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 25 მაისის ჩათვლით, მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6 ან ელ. ფოსტის მისამართზე: eia@mepa.gov.ge

გიგზავნით შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო VI“-ის მიერ დამატებითი ინფორმაციის სახით სამინისტროში წარმოდგენილ დოკუმენტაციას. გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული განცხადების განთავსება თქვენი აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და წარმოგვიდგინოთ აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტომასალა.

დანართი: ტექსტის თანახმად.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე